პროექტის განმარტება

პროექტი № V V-47/17 დამუშავდა 2017 წლის საინვესტიციო გეგმის თანახმად, რომელიც ეხებ ქ. თბილისში გ. ქიქოძის და ლ. ასათიანის ქ-ზე მდებარე ს/ჯ № 4030-სა და ს/ჯ № 4201-ს შორის მდებარე მ/ძ-ის (6კვ.) ამორტიზებული მიწისქვეშა ძალოვანი კაბელის შეცვლას.

გაითხაროს საკაბელო ტრანშეი ს/ჯ № 4030-დან გ. ქიქოძის ქუჩის ტროტუარზე, ლ. ასათიანის ქ-ის ტროტუარზე, ამავე ქუჩის პოზიცია №1 და პოზ. №2-ს შორის ტროტუარზე აღებული იქნას ფრთხილად დეკორატიული ფილა და კაბელის ჩადების შემდეგ დაიგოს იმავე ადგილზე, ს/ჯ № 4201-თან არსებულ სერვიტუტზე ეზოს შესასვლელის გვერდულზე, მოეწყოს საკაბელო ბალიში წვრილფრაქციური ქვიშით, ჩაიდოს კაბელი NA2XSEY1(3*150RM/25)mm2 კვეთის, მიეყაროს ქვიშა, დაეყაროს ქვიშა-ხრეში, დაედოს სასიგნალო პოლიეთილენის ლენტი, დაეყაროს ქვიშა-ხრეში, ღორღი – დაიტკეპნოს, პოზ. №1 და პოზ. №2-ს შორის დაიგოს დეკორატიული ფილა და ტროტუარის დანარჩენ ნაწილზე დაიგოს ასფალტი.

ჩადებულ კაბელს გაუკეთდეს საბოლოო ქუროები, შეყვანილი იქნას ს/ჯ-ებში, გამოიხსნას არსებული ამორტიზებული კაბელის წვერები უჯრედებიდან და მათ ადგილზე შეერთდეს ახალი ჩადებული კაბელის წვერები.

სამშენებლო–სამონტაჟო სამუშაოები შესრულდეს ПУЭ–ს და СНиП–ის ნორმების შესაბამისი პუნქტების დაცვით.